საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 286 (10372) | კვირა, 4 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## სოციალისტური დემოკრატიის დიადი დროშით

ხვალ, 5 დეკემბერს საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციის დღეს.

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის მიერ მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდა იმ უდიდეს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცვლილებათა ასახვას, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა 1924 წლიდან — სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 1936 წლამდე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ძირეული შემობრუნება იყო მსოფლიო ისტორიის განვითარებაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი კომუნისტური სამყაროსაკენ. კაცობრიობის ისტორიაში პირველად იქნა ლიკვიდირებული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა საზოგადოებას საფუძვლად დაედო სოციალისტური საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე და ამრიგად სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული, პარაზიტული კლასები. ხოლო მუშათა კლასმა, გლეხთა კლასმა და ინტელიგენციამ არსებითად იცვალეს სახე. მათი ინტერესების, შეხედულებების, მიზნების ერთიანობამ, მათმა დარაზმულობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო განაპირობა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. სოციალისტური წყობილების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ ახალი ტიპის თავისუფალი, თანასწორი და სუვერენული სოციალისტური ერები, სანიმუშოდ მოეწყო მათი ძმური თანამშრომლობა მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში. განვითარდნენ სოციალისტური საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა დიადი მეგობრობა და საბჭოთა ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი.

საბჭოთა ადამიანების უდიდესი მონაპოვარია თანასწორი უფლებები სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ყველა მოქალაქე თანასწორია, მიუხედავად სქესისა, რასობრივი წარმოშობისა და ქონებრივი მდგომარეობისა. საბჭოთა ადამიანები გარანტირებული არიან შრომის, განათლების, დასვენების უფლებით, მოხუცებულობის ან დროებით შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფით.

19 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საბჭოთა კონსტიტუცია. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა განვლო ბრძოლისა და გამარჯვების დიადი გზა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიაზე და მილიტარისტულ იაპონიაზე ნათლად დაადასტურა საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებული საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ყოველმხრივი უპირატესობა, მისი ძალა და ცხოველმყოფელობა, სოციალიზმისა და დემოკრატიის უძლეველობა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ახალი მსოფლიო ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს. მათ უმოკლეს დროში აღადგინეს სახალხო მეურნეობა და უზრუნველყვეს მისი შემდგომი განვითარება. განუხრელად მიდის წინ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა. სამრეწველო წარმოების დონე 1955 წელს შეადგენს 184 პროცენტს 1950 წელთან შედარებით და 318 პროცენტს 1940 წელთან შედარებით, წარმოების საშუალებათა წარმოება 189 პროცენტს, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება 176 პროცენტს 1950 წელთან შედარებით.

კომუნისტური პარტია მტკიცედ ახორციელებდა და ახორციელებს დიდი ლენინის მითითებას მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების შესახებ, მძიმე მრეწველობისა, რომელიც სოციალისტური სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. სოციალისტური მრეწველობის მუშაკები იბრძვიან შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, ყოველი ღონისძიებით ამაღლებენ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეს, აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენმა სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ მიიღოს საუცხოო მარკის მანქანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო იარაღები, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახული სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელების საქმეში. მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები გაიგზავნენ სოფლად სამუშაოდ. 1955 წელს ნათესი ფართობი სსრ კავშირში 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 27 პროცენტით, მათ შორის ათვისებულია 30 მილიონზე მეტი ჰექტარი ყამირი მიწები. სიმინდის ფართობი 1954 წელთან შედარებით გადიდდა ოთხჯერ და უფრო მეტად. 1955 წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადებულია 129 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე გასულ წელს. ვითარდება და მტკიცდება მეცხოველეობა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები არ კმაყოფილდებიან მიმდინარე წელს მოპოვებული სერიოზული მიღწევებით და იბრძვიან იმისათვის, რათა კიდევ უფრო გაადიდონ ნათესი ფართობები, აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, უახლოეს ხანში სამშობლოს მისცენ სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთი მარცვლეული, მეცხოველეობის მეტი პროდუქტები, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას.

ფართო გზა გაეხსნა მეცნიერებას, კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას. ამჟამად საბჭოთა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვადასხვა სპეციალურ სასწავლებლებში და კურსებზე 60 მილიონამდე კაცი სწავლობს, იძენს სხვადასხვა სპეციალობას, ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან იმისაკენ, რომ მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ ყველა ხალხთან, დაუღალავად იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის. მიმდინარე წელს კიდევ უფრო განმტკიცდა ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა საბჭოთა ხალხსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებს შორის, კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალიზმისა და დემოკრატიის უძლეველი ბანაკი, ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლმა ძალებმა. მსოფლიოს პროგრესული ძალები ენერგიულად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას.

საბჭოთა კონსტიტუციის დღე ჩვენს ქვეყანაში წელს აღინიშნება მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. ჩვენს დიად სამშობლოში ფართოდ გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რათა წარმატებით განხორციელდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული დიადი ამოცანები.

საბჭოთა კონსტიტუციის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი რანგუნში

რანგუნი, 2 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირგვინებით შეამკეს საფლავი ბირმელი ხალხის ბელადისა ამ ხალხის ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის — გმირი პატრიოტის აუნგ სანისა და მისი დროებითი მთავრობის მინისტრებისა, რომლებიც ვერაგულად დახოცეს ბირმის დამოუკიდებლობის მტრებმა 1947 წლის 19 ივლისს.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ ბირმაში მოგზაურობის ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი და ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები გაემგზავრნენ ბუდას ძველი ოქროსთავიანი შვე-დაგონის პაგოდისაკენ — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბუდისტების წმიდათა-წმიდისაკენ, რომელიც ყველაზე შესანიშნავი ისტორიული ძეგლია რანგუნში.

ამ პაგოდის საოცარი ასმეტრიანი კოშკი ბრწყინავს ქალაქში თავისი ოქროს მოპირკეთებით, რომელიც არეკლავს მცხუნვარე მზის სხივებს. პაგოდა დგას მაღალ ბორცვზე 2.500 წელია და თუმცა არაერთხელ დაუშენებიათ და გადაუკეთებიათ, დღესაც არ დაუკარგავს ძველი თავისებურება. სტუმრები ავიდნენ ერთ-ერთი მაღალი კიბით, რომელიც მწვერვალისაკენ მიდის, და გულმოდგინედ დაათვალიერეს მდიდარი მორთულობა ზედა მოედნისა, რომელიც მდებარეობს ოქროს კონუსის ფუძესთან, და პატარა პაგოდები, რომლებიც ქაოსურად არის აგებული წრედ და მორთულია სულ სხვადასხვა სახისა და ზომის ბუდას ქანდაკებებით.

სტუმრები მიიღო და განმარტება მისცა ტაძრის ერთ-ერთმა წინამძღვარმა.

მოედანზე საპატიო სტუმრებისათვის ნ. ს. ხრუშჩოვს და ნ. ა. ბულგანინს, მათ თანმხლებ პირებსა და პრესის წარმომადგენლებს შორის გაიმართა საუბარი ტაძრის ნახვასთან დაკავშირებით.

შვე-დაგონის დათვალიერების შემდეგ სტუმრები წავიდნენ რანგუნის მერე გარეუბანში მდებარე „მშვიდობის პაგოდაში", რომელიც 1952 წელს აშენდა პრემიერ-მინისტრ უ ნუს ინიციატივით იმის აღსანიშნავად, რომ ბირმის ბუდისტები ესწრაფვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ძველი სტილით აშენებულ ამ პაგოდასთან, რომელსაც აგვირგვინებს მოქრული კონუსისებური კოშკი, არის ეგრეთწოდებული „ჩატა სანგაიანა" — სხდომათა დარბაზი. იგი ამას წინათ აშენდა ბუდისტთა VI დიდი სინოდისათვის, რომელიც რანგუნში მოქმედებს 1954 წლიდან. ეს დარბაზი შიგნით მდიდრულად მოპირკეთებულია, გარეგნულად ჰგავს დაუმუშავებელი ქვით გაკეთებულ ბორცვს, რაც წარმოადგენს იმ გამოქვაბულის სიმბოლოს, სიდანაც, გადმოცემით, ბუდა ხალხს გამოეცხადა.

საბჭოთა სტუმრებმა, რომლებსაც ახლდა ამ ნაგებობის არქიტექტორი, დაათვალიერეს „გამოქვაბულის" შიგნითა სადგომები და [illegible] რელიკვიები, რომლებიც იქ ინახება.

რანგუნის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულეს პრემიერ-მინისტრი უ ნუ მის რეზიდენციაში და ესაუბრნენ მას. საუბარს დაესწრნენ ა. ა. გრომიკო, პ. ნ. კუმიკინი, დ. რ. რასულოვი, ზ. რახიმბაბაევა, სსრ კავშირის ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი.

ბირმის მხრივ დაესწრნენ თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე, მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი, ვაჭრობის მინისტრი უ რაშიდი, მიწის ნაციონალიზაციის მინისტრი ტაკინ ტინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ვინ პე, ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი.

ნაშუადღევს საუზმის შემდეგ, რომელზეც იყო პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ამხანაგები ხრუშჩოვი და ბულგანინი და მათი თანმხლები პირები იყვნენ რანგუნის ნავსადგურში მდინარე ჰლაინგზე (ანუ რანგუნზე). თბომავალ „ტიათი" პრემიერ-მინისტრ უ ნუს თანხლებით სტუმრებმა იმოგზაურეს მდინარეზე.

რანგუნი ბირმის უმნიშვნელოვანესი საზღვაო ნავსადგურია. აქ გადის ბირმის მთელი საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვის სამ მეოთხედზე მეტი. რანგუნის ნავსადგურს, რომელიც დაახლოებით ორმოც კილომეტრზეა ოკეანიდან, შეუძლია მიიღოს 15 ათას ტონამდე წყალწყვის გემები. ომამდე იგი აზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს იგი თითქმის სულ დაანგრია როგორც იაპონიის, ისე ინგლის-ამერიკის ავიაციამ.

უამბო რა სტუმრებს ნავსადგურის შესახებ, პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ აგრეთვე აღნიშნა, თუ რა სიძნელეებს ხვდება ბირმის მთავრობა რანგუნის ნავსადგურის აღდგენის დროს. აღდგენა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მისი სრული დამთავრებისათვის შემუშავებულია სპეციალური შვიდწლიანი გეგმა.

მთავარ ნავმისადგომში დაბრუნების შემდეგ სტუმრები გამოემშვიდობნენ ნავსადგურის უფროსს, თბომავლის კაპიტანსა და ეკიპაჟს, მადლობა გადაუხადეს სასიამოვნო მოგზაურობისათვის და თავიანთ რეზიდენციაში დაბრუნდნენ.

საღამოს პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ სადილი გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის და მათი თანმხლები პირების პატივსაცემად.

## სადილი ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრთან უ ნუსთან

რანგუნი, 3 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ სადილი გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სადილზე იყო აგრეთვე ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყველა თანმხლები პირი.

სადილზე იყვნენ ბირმის მთავრობის მინისტრები, სამინისტროთა პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა რანგუნში აკრედიტებული მეთაურები.

სადილის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ.

### ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს სიტყვა

როცა 1955 წლის 21 ოქტომბერს მოსკოვის აეროდრომზე ჩამოვედი, მე გამოვთქვი მხურვალე სურვილი: „მოდით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას". ჩემმა ვრცელმა მოგზაურობამ თქვენს დიდ ქვეყანაში და თავისუფალმა და გულახდილმა საუბრებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან და ხალხთან მქონდა, დამარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირში ბირმის ხალხისადმი უსაზღვრო სიმპათიასა და კეთილ ნებას იჩენენ.

თქვენი ქვეყნის რა ნაწილშიც უნდა ვყოფილიყავი, მოლცებდა მეტისმეტად გულთბილი მიღება და ყველა წრეში გამოთქვამდნენ ბირმელი ხალხის ბედნიერებისა და აყვავების გულწრფელ სურვილს. პირადმა კონტაქტმა, რომელიც საბჭოთა კავშირში დავამყარე, სრულიად უეჭველი გახადა ჩემთვის, რომ საბჭოთა ხალხი ესწრაფვის ჩვენს ხალხებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის განვითარებას. ჩემი გული მადლობის გრძნობამ აღავსო, როცა დავტოვე თქვენი დიდი ქვეყანა, და მე ვგრძნობდი, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა მტკიცედ და გარკვეულად.

შინ რომ დავბრუნდი, განსაკუთრებით ხშირად ვიგონებდი საბჭოთა ხელმძღვანელების არაერთგზის განცხადებას, რომ ჩვენი ურთიერთობა არის ურთიერთობა „თანასწორი და სუვერენული ქვეყნებისა, რომელნიც ერთმანეთს პატივს სცემენ და დაინტერესებული არიან მშვიდობის დაცვით". მე განსაკუთრებით აღვნიშნე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა ხელმძღვანელები ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის პრინციპებს. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ამ პრინციპების დიდ მნიშვნელობას სულ უფრო აღიარებენ მსოფლიოს მნიშვნელოვან რაიონში.

საბჭოთა კავშირის გამოჩენილ ხელმძღვანელთა ეს ვიზიტი ბირმაში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას. როგორც, უეჭველია, ცნობილია თქვენი აღმატებულებისათვის, ბირმის ხელმძღვანელები და ხალხი სავსებით იზიარებენ კეთილ ნებასა და მეგობრობის გრძნობას, რომელსაც თქვენ გამოთქვამთ. ჩვენ არ გვეეჭვება, რომ საბჭოთა კავშირი თქვენი უნარიანი ხელმძღვანელობით მტკიცე მეგობრობის ურთიერთობას დაამყარებს ყველა ქვეყანასთან — დიდ და პატარა ქვეყნებთან.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას!

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

### ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

მადლობას გიძღვნით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, პირადად ჩემი და ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელით თქვენი კეთილი სიტყვებისათვის ჩვენს მიმართ.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვხვდებით თქვენს განცხადებას, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩით საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო. ჩვენი ხალხი ყოველთვის გულითადად და გულღიად იღებს მეგობრებს.

თქვენ არ ცდებით, როცა ამბობთ, რომ სსრ კავშირში ყოფნის შედეგად თქვენ განგიმტკიცდათ რწმენა, რომ საბჭოთა ხალხი ესწრაფვის საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის მჭიდრო ურთიერთობის განვითარებას და სიმპათიითა და პატივისცემით ეპყრობა ბირმელ ხალხს.

ცნობილია, რომ ჩვენს სახელმწიფოებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა აქვთ. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ჩვენ მეგობრულად ვიცხოვროთ და განვავითაროთ მშვიდობიანი თანამშრომლობა, რადგან ჩვენი ხალხები მხურვალედ ისწრაფვიან შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა, რომელიც საჭიროა ყველა ხალხისათვის, რათა მშვიდად, უშიშრად იშრომონ კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ჩვენი პოლიტიკა მუდამ არის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთ სარგებლობა ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობის დარგში. ბირმის კავშირთან ჩვენს ურთიერთობას სწორედ ეს უდევს საფუძვლად.

ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ ჩვენმა პირადმა კონტაქტმა თქვენთან მოსკოვში, კონტაქტმა, რომელიც აქ გაგრძელდა, ხელი შეუწყო უფრო ღრმა ურთიერთგაგების დამყარებას მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე და ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ და ჩვენი ხალხების მეგობრობის განვითარებას.

ჩვენ თქვენთან მხოლოდ ორ დღეს ვიყავით, მაგრამ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ბირმის ხალხი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობასა და მშვიდობიან შრომას.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ბირმელმა ხალხმა ზოგიერთი წარმატებანი მოიპოვა კოლონიური ბატონობის, უცხოელთა ინტერვენციისა და გამანადგურებელი ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. ჩვენ გულწრფელად გისურვებთ შემდგომ კიდევ უფრო დიდ მიღწევებს თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენ მხურვალედ მივესალმეთ თქვენ მიერ მოსკოვში გამოთქმულ სურვილს ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრის შესახებ. ახლა მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის ფაქტია. მოდით განვავითაროთ და განვამტკიცოთ ეს ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის.

გაუმარჯოს ბირმისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრ უ ნუს სადღეგრძელო.

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

რანგუნი, 3 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი რანგუნიდან გაფრინდნენ შანის სახელმწიფოში, რომელიც მდებარეობს ბირმის კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. თვითმფრინავი გაემართა ჰეჰოში — ქალაქში, რომელიც 35 კილომეტრზეა შანის სახელმწიფოს დედაქალაქ ტაუნგჯიდან.

ბირმის ამ თვალისწარმტაცი სილამაზის რაიონში, რომელიც ზღვის დონიდან 1.000 მეტრზე მდებარეობს, არის თავისი სილამაზით განთქმული ინლეს ტბა, რომელსაც დღეს ნახავენ საბჭოთა სტუმრები.

ისინი იმავე დღეს ჩავლენ შანის სახელმწიფოს დედაქალაქ ტაუნგჯიში. ხვალ ისინი ჩავლენ ამ ქვეყნის მნიშვნელობის მიხედვით მეორე ქალაქ მანდალაიში.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებში

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისია დეპუტატ ი. ს. სენინის თავმჯდომარეობით და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია დეპუტატ ა. მ. საფრონოვის თავმჯდომარეობით შეუდგნენ სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვას, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანა.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. გ. ზვერევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული მუხლების, სსრ კავშირის თვითეული სამინისტროსა და უწყების ნაკრები ფინანსიური გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების, აგრეთვე 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დეტალურად განხილვისათვის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა შექმნეს მთელი რიგი ქვეკომისიები: სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განსახილველად; განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავი ხარჯების განსახილველად; სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და დამზადების შემოსავლისა და გასავლის; მანქანათმშენებელი მრეწველობის შემოსავლისა და გასავლის; სახალხო მოხმარების საქონლის მრეწველობის შემოსავლისა და გასავლის და სხვ. განსახილველად.

ქვეკომისიების სხდომებზე განიხილავენ საბიუჯეტო მასალებს, რომლებიც სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა, ისმენენ სათანადო სამინისტროთა და უწყებათა, სახელმწიფო ეკონომკომისიის, გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებისა და სხვ. წარმომადგენლების მოხსენებებსა და ახსნა-განმარტებას ბიუჯეტის შესახებ. ქვეკომისიები კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების განსახილველად ამზადებენ დასკვნებსა და წინადადებებს ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის შესაბამის განყოფილებათა მიხედვით.

ქვეკომისიების მუშაობაში, საბიუჯეტო კომისიების წევრი დეპუტატების გარდა, მონაწილეობას იღებენ კონსულტანტები — სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. (საქდესი).

## საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

საქართველოს კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა. აგარის შაქრის ქარხანამ მიიღო 1.350 ათასი ცენტნერი ნედლეული — 270 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან.

კოლმეურნეობათა უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის დავალება. გორის რაიონის კოლმეურნეობებმა, სადაც რესპუბლიკის ყველაზე დიდი პლანტაციებია, საშუალოდ ჰექტარზე აიღეს დაახლოებით 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. (საქდესი).

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 7 დეკემბერს.

# თბილისის რაიონული პარტიული კონფერენციები

## იდეოლოგიურ მუშაობას პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღება

### ორჯონიკიძის რაიონი

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. გაუმჯობესდა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი, სერიოზული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, უკეთ ზრუნავენ კომუნისტების იდეური მომზადებისათვის, გონივრულად ანაწილებენ პარტიულ დავალებას. უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საწარმოებისა და სხვა დაწესებულებების კომუნისტთა შემოქმედებითი აქტივობის განუხრელი ზრდის შედეგად სერიოზული წარმატებებია მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობითს, სამეცნიერო-კვლევითს და სამეურნეო საქმიანობაში. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობის შედეგად, მნიშვნელოვნად ამაღლდა სტუდენტთა აკადემიური წარმატება რაიონის უმრავლეს უმაღლეს სასწავლებელში.

რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის განვლილი თვეების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მოწინავეთა რიგებში დგანან საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის, „დინამოს" სასპორტო იარაღების ფაბრიკის, საქშამპანკომბინატის სამარკო ღვინოების ქარხნის, ავეჯის ფაბრიკის და რაიონის სხვა საწარმოთა კოლექტივები.

მაგრამ, როგორც მომხსენებელმა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. მახარაძემ და კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, წარმატებანი სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობაში გაცილებით თვალსაჩინო იქნებოდა, პარტიის რაიკომს და ცალკეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში რომ არ ჰქონდეთ არსებითი ნაკლოვანებანი. კონფერენციაზე ცოტა როდი იქნა დასახელებული მაგალითები, როცა ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეძლევიან რა თვითდამშვიდებას, უინიციატივოდ, მოუქნელად მუშაობენ. ზოგიერთი მათგანი ზემდგომი ორგანოების მიერ რეკომენდებული საკითხების განხილვის მოლოდინში უყურადღებოდ ტოვებს და მსჯელობის საგნად არ ხდის ადგილობრივი მნიშვნელობის აქტუალურ, მტკივნეულ საკითხებს, ურიგდება სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებს. პარტიის რაიკომი და მისი მუშაკები კი ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს ზოგჯერ მხოლოდ მაშინ ამჩნევენ, როცა კონფერენციებისათვის, პლენუმების ან ბიუროს სხდომებისათვის საკითხებს ამზადებენ.

დელეგატების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ პარტიის რაიკომი და ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წელს კრებაზე განიხილა საკითხი „მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ". კრებაზე „იმსჯელეს" ამ ორგანიზაციის პარტიულ კრებებზე მიღებული 66 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გასაგებია, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა შესრულების შემოწმების ასეთ ფორმალურ განხილვას. აღსანიშნავია, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მხრივ თვით პარტიის რაიკომშიც როდია ყველაფერი რიგზე.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციები მთელ შესაძლებლობას არ იყენებენ იმისათვის, რომ აამაღლონ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი, საჭირო ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევიან სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, არ ზრუნავენ სტუდენტთა სამუშაო დღის სწორი ორგანიზაციისათვის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამითაც უნდა აიხსნას, რომ გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში სტუდენტთა აკადემიური წარმატების დონე დაბალი იყო სამედიცინო, პუშკინის სახელობისა და უცხო ენათა ინსტიტუტებში.

პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სისტემატურად არ სრულდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები. ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია კი ურიგდება ასეთ მდგომარეობას. საანგარიშო პერიოდში პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობა. ამ ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ამ საკითხზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი უყურადღებობას იჩენს აგრეთვე ტყის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, ამხილეს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. იდეოლოგიური მუშაობის სუსტად დაყენებისათვის მკვეთრად გააკრიტიკეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი და მისი მდივანი ს. ჯორბენაძე. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ამხ. ჯორბენაძე ხედავდა, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენის საკითხებზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მიერ მოწყობილი დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე (ვ. ქვაჩახია, ზ. კაკაბაძე, ნ. კაკაბაძე და სხვ.) არასწორ პოზიციაზე იდგა. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ამას წინათ ჩატარებულ პარტიულ კონფერენციაზე მან საჭირო პრინციპულობა ვერ გამოიჩინა და არ გააკრიტიკა დისკუსიის ზოგიერთი მონაწილის შეცდომები.

რაიონულ კონფერენციაზე ყურადღება იქნა გამახვილებული კომუნისტების პოლიტიკური სწავლების ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებს რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია საჭირო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ უწევს, რის შედეგადაც ზოგიერთი კომუნისტი წიგნზე ვითომდა დამოუკიდებელი მუშაობით ახერხებს პოლიტიკური თვითგანათლების საქმისადმი თავისი უდარდელი დამოკიდებულების შენიღბვას.

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა გ. მეტრეველმა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციებს უსაყვედურა, რომ ისინი სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

დელეგატები მოელოდნენ, რომ მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ა. ნატროშვილი, რომელიც კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, ილაპარაკებდა არა მარტო იმ მიღწევათა შესახებ, რაც ინსტიტუტს აქვს და საყოველთაოდ არის ცნობილი, არამედ იმაზეც, რომ მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, რომ ინსტიტუტს, მის მუშაკებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა.

აღსანიშნავია, რომ სიტყვით გამოსული დელეგატები კრიტიკულად არ უდგებოდნენ საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიკომის მიერ გაწეულ მუშაობას, გვერდს უვლიდნენ ნაკლოვანებათა მხილებას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კონფერენციის დელეგატები.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. მახარაძე, მეორე მდივნად — ამხ. ნ. რამიშვილი, მდივნად — ამხ. ე. ღლონტი.

ქ. სიხარულიძე.

## უფრო ახლოს საწარმოებთან, მეტი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის

### კიროვის რაიონი

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად კიროვის რაიონის საწარმოებმა ხუთწლედის დავალებანი მიმდინარე წლის 1 მაისისათვის შეასრულეს. ახალი ძალით გაჩაღდა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის 10 თვის დავალება 106,4 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცეს. ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით ისახელეს თავი „საქტრიკოტაჟის". და № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკების, ტყავის № 2 და სამსხმელო-მექანიკური ქარხნების, არტელ „ჩვენი შრომის" და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე როგორც მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. თანდილაშვილმა, ისე კამათის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ბამბის ფაბრიკის, არტელების „სპორტის", „მქსოველის" და „ფეხსაცმლის", აგრეთვე სხვა ჩამორჩენილ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების მოუქნელი, სუსტი მუშაობა. აღნიშნულ საწარმოებში გეგმები არ სრულდება, არის უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები, ნაკლებად ინერგება ახალი ტექნიკა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

რაიონში არსებულ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაწყვეტად გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა გაკეთებული, ინსტიტუტების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად რომ აქცევდნენ ყურადღებას იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას.

ტყავის № 1 ქარხნის დირექტორმა გ. ხაზარაძემ თავისი სიტყვა მიუძღვნა საწარმოში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს, მაგრამ ქარხანაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებზე ცოტა რამ თქვა.

— პარტიის რაიკომის მუშაობა, — განაცხადა № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ა. ბუაძემ, — ზოგჯერ ფორმალიზმით ხასიათდებოდა. რაიკომის ინსტრუქტორები ჩვენს ფაბრიკაში მოდიოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ რაიმე ცნობები ესაჭიროებოდათ.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე ილაპარაკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ლ. ჩიქვანაიამ. მან აღნიშნა, რომ რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში ვხვდებით უდარდელობის ფაქტებს. ეს პირველ რიგში, — თქვა მან, — პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირის რაიკომის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას უნდა მიეწეროს. ამხ. ჩიქვანაიამ გააკრიტიკა რაიკომის საანგარიშო მოხსენება იმისათვის, რომ იქ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ ცოტა რამ ითქვა.

საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვა, — განაცხადა რაიონის პროკურორმა შ. კიკაბიძემ, — პარტიული ორგანიზაციების, მილიცია-პროკურატურისა და სასამართლოების ღვიძლი საქმეა. დღემდე ამ საქმეში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია. რაიონში იშვიათი როდია საზოგადოებრივი ქონების დატაცების, ხულიგნობის, ქურდობის შემთხვევები, მაგრამ დამნაშავეთა საქმის გამოძიება ზოგჯერ ჭიანურდება, გამოძიების ხარისხიც არ არის დამაკმაყოფილებელი.

სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებებზე ილაპარაკა „თბილმრეწვვაჭრობის" პარტბიუროს მდივანმა დ. შარაშენიძემ, რომელმაც „თბილმრეწვვაჭრობის" მიერ გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად სხვას გადააბრალა. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ზუსტად არ აწარმოებს სავაჭრო ორგანიზაციების დაგეგმვას. გააკრიტიკა აგრეთვე პარტიის რაიკომი არადამაკმაყოფილებელი დახმარებისათვის.

რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო-კულტურული მომსახურების საქმეში, როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. კოპალიანმა აღნიშნა, ჯერ კიდევ დიდი ხარვეზებია. რაისაბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებს.

კონფერენციაზე აღინიშნა საბინაო სამმართველოს და სარემონტო კანტორის სუსტი მუშაობა. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების გულგრილი საქმიანობის შედეგია ის, რომ რაიონის საბინაო ფონდის დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კონფერენციის დელეგატები.

* * *

გაიმართა რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა კიროვის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ხირაძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. თანდილაშვილი, მდივნად — ამხ. შ. კულულაშვილი.

ა. გოცირიძე.

# ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XX ყრილობას

## აღებული ვალდებულება განაღდებულია

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა ყველა ის სოციალისტური ვალდებულება, რაც მას დღემდე ნაკისრი ჰქონდა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ამ ქარხანაში შეასრულეს 10 აგვისტოსათვის, ხოლო 1955 წლის გეგმის განაღდება ნაკისრი ჰქონდათ 15 ნოემბრისათვის. ეს მეორე ვალდებულება ქარხნის კოლექტივმა დათქმულ ვადამდე — 2 ნოემბრისათვის გაანაღდა.

უკვე მეორე თვეა ქარხანაში მუშაობენ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაზე. დეკემბრის დასაწყისიდან მუშაობის ტემპი გაძლიერდა ყველა საამქროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარხნის მექანიკური საამქროს (უფროსი ნ. ბაზტაძე) და სამჭედლო-საინსტრუმენტო საამქროს (უფროსი ბ. გუკასოვი) კოლექტივების მაღალნაყოფიერი მუშაობა. ამ საამქროებში ახლა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ, ვიდრე წინა თვეებში.

ს. რასტი.

## მეორესვირელი კოლმეურნეები ამ დღეებში

ზესტაფონი. (სპეც. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. წელს აქ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა. კოლმეურნეებმა წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი. სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 4 ცენტნერით გადააჭარბა შარშანდელს. ავანსად თვითეულ შრომადღეზე გასცეს 1,5 კილოგრამი სიმინდი.

მეორესვირელებმა ყურძნის კარგი მოსავალი მიიღეს. 78 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 65 ცენტნერი ყურძენი. სახელმწიფოს ჩააბარეს 445 ტონა ყურძენი. მარტო მევენახეობიდან შემოსავალი მილიონნახევარ მანეთზე მეტს შეადგენს.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში. 1954 წლის პირველი ოქტომბრიდან 1955 წლის პირველ ოქტომბრამდე საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 780 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა. პირუტყვის ნამატი მთლიანად არის შენარჩუნებული. ყოველმხრივ მზად არიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

კოლმეურნეობაში მეღორეობა რენტაბელური დარგი ხდება. კოლმეურნეობას 26 დედალორი ჰყავს. გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ დედალორზე მიღებულია თოთხმეტი გოჭი, პირველად ჩაბარდა სახელმწიფოს ერთნახევარი ტონა ღორის ხორცი. ახლა გასასუქებლად დაყენებულია ათი ღორი.

მეორესვირელი კოლმეურნეები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს, მკვეთრად გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობას.

## დათქმულ ვადაზე 20 დღით ადრე

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში თვრამეტი ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად. პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია კომბინატის ხუთივე საამქრო ათას ხუთასზე მეტი მუშით.

ფეიქრებმა პირობა დადეს ყრილობის აღსანიშნავად შემდგომ გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, აამაღლონ ქსოვილის ხარისხი, გააუმჯობესონ მოწყობილობის გამოყენება. ძირითადი ვალდებულება ითვალისწინებდა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება გაენაღდებინათ 15 დეკემბრისათვის.



კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა დათქმულ ვადაზე 20 დღით ადრე გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ქსოვილების გამოშვების დავალებაც ვადამდე შეასრულონ.

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის სახელწოდება მიანიჭეს და საპატიო სიგელები მიაკუთვნეს კომბინატის მოწინავე მრთველთა ბრიგადებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ოსტატის თანაშემწეები გ. ციცაგი, ა. ჯალალი და ე. კაკაბაძე.

კომბინატის ბრიგადებს შორის შეჯიბრებაში კარგი შედეგები აქვთ ოსტატის თანაშემწეების გ. კრაწაშვილის, ა. სკოგორევის, ა. გიორგობიანის, ზ. ტატანაშვილის და ს. ჯეირანოვის ბრიგადებს.

საამქროთა შორის პირველ ადგილზეა და გარდამავალ დროშას ფლობს მაუდის საამქროს კოლექტივი.

სურათზე: ოსტატის თანაშემწეები გ. ციცაგი (მარცხნივ) და ე. კაკაბაძე მიმდინარე რემონტს უკეთებენ მანქანას. ფოტო შ. გოქაძისა.

## სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

სოხუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ შეაჯამეს მესამე კვარტალში კულტურის სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები.

დაკისრებულ მოვალეობას სხვა განყოფილებებთან ერთად საუკეთესოდ გაართვა თავი სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ (გამგე ამხ. კ. გოგუა), რომელსაც მიმდინარე წელს უკვე მეორეჯერ მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშა და გადაეცა პირველი ფულადი პრემია.

მოსახლეობის კინომომსახურების დარგში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა კინოთეატრ „სოხუმის" კოლექტივმა (დირექტორი ამხ. დ. კვარაცხელია), რომელსაც მიენიჭა მეორე საკავშირო ფულადი პრემია.

აღინიშნა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის განყოფილების (უფროსი ამხ. ვ. ჭელიძე), გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების (გამგე ამხ. ვ. თორდია) და სოხუმის რუსთაველის სახელობის კინოთეატრის (დირექტორი ამხ. ვ. ჭითავა) კარგი მუშაობა.

აფხაზეთის ასსრ კინოქსელის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საამაყო ჯილდოთი, კიდევ უფრო აუმჯობესებენ მუშაობას. მათ მიმდინარე წლის დავალება 1 ნოემბრისათვის 107 პროცენტით გაანაღდეს და ვალდებულება იკისრეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი.

## მევაგონეთა წარმატება

ორი სავაგონო უბანი — თბილისისა და სამტრედიისა — ეჯიბრება ერთმანეთს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებები მოიპოვეს თბილისელმა მევაგონეებმა. მათ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს საწარმოს ხუთწლიანი გეგმის დავალება.

ყრილობისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს სამმაგად ანაღდებენ სავაგონო უბნის მოწინავე ზეინკლები შ. მაზმიშვილი, გ. სიმონიანი, მჭედელი ნ. ზინსკოვსკი, ელექტროშემდუღებელი ს. კანანოვი, მღებავი გ. ფაშალიშვილი.

სავაგონო უბნის კოლექტივი ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე კიდევ ათობით სატვირთო ვაგონს შეაკეთებს.

ი. მჭედლიშვილი.

## მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

პირველი სამშენებლო დეპო, რომელიც საბჭოთა კავშირში შეიქმნა, ხაშურის დეპოა. აქ აღიზარდა ელმავლის მრავალი მემანქანე, მემანქანის თანაშემწე, ოსტატი და სხვა პროფესიის ბევრი რკინიგზელი. ამ სამშენებლო დეპოს კოლექტივი დიდად პასუხსაგებ, მძიმეპროფილიან უბანს — სურამის უღელტეხილს უწევს მომსახურებას.

დეპოს მოწინავე მეელმავლეთა შორის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია მემანქანე ილია ლაბაძის ბრიგადამ, რომელიც ელმავალ ვლ-22-493-ზე მუშაობს.

ი. ლაბაძის ბრიგადამ, რომელშიც შედიან ელმავლის მემანქანეები: თ. გოსტიევი და ო. რობაქიძე, მემანქანის თანაშემწეები ნ. ტატიშვილი, გ. ნოზაძე და ვ. ხვედელიძე, აღნიშნული ლოკომოტივი 1951 წლის 5 ოქტომბერს ჩაიბარა. ამხ. ლაბაძემ ბრიგადაში მაშინვე გაანაწილა სამუშაო ელმავლის კვანძის მიხედვით.

ლოკომოტივის კარგი მოვლის შედეგად ი. ლაბაძის ბრიგადამ აწევით შეკეთებათაშორისი გარბენა გაზარდა 311.919 კილომეტრამდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 140.000 კილომეტრისა.

## ლოკომოტივის შეკეთებათაშორისი გარბენის ოსტატი

როგორ მიაღწია ბრიგადამ ასეთ შედეგებს? ი. ლაბაძე და მისი ბრიგადა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ



ი. ლაბაძე.

* * *

ელმავლის თანაბრად დატვირთვასა და მართვას, უნარიანად იყენებენ ინერციას, სწორად არეგულირებენ მუხრუჭებს, გარდა ამისა, გოგორწყვილების არტახების ცვეთის შესამცირებლად ხმარობენ დადუღებულ ხუნდებს, თვითონ ჰკლიან გოგორწყვილის არტახებს გვერდით გადაწეულ ნაწილებს, რაც ჩვეულებრივ დეპოში უნდა ხდებოდეს. ბუქსაობის თავიდან ასაცილებლად რეგულარულად ზეთავენ ბუქსსა და მოსახუნე ნაწილებს. ყოველივე ეს კეთდება ბრიგადირის ი. ლაბაძის მეთვალყურეობით.

ასეთი მუშაობის შედეგად ბრიგადამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში სახელმწიფოს 52 ათასი მანეთი დაუზოგა, რისთვისაც ბრიგადის წევრებს ჯილდოს სახით მიეცათ 11 ათასი მანეთი.

აწევით შეკეთებათა შორის პერიოდში ბრიგადამ მრავალი მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და ნორმის გადამეტებით 97.380 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა.

ილია ლაბაძე თავისი ბრიგადის გამოცდილებას სხვა ბრიგადებს უზიარებს.

ა. ლეჟავა,
ხაშურის სამშენებლო დეპოს ტექნიკური განყოფილების უფროსი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). 30 ნოემბერს დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა განიარაღების საკითხისა და „საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა“ საკითხის განხილვას. ამ საკითხებს კომიტეტი ერთსა და იმავე დროს განიხილავს.

დისკუსიაში პირველი გამოვიდა გენერალური ასამბლეის X სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხს და საბჭოთა კავშირის მიერ შემოტანილ წინადადებას „საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელთა განხილვას შეუდგა პოლიტიკური კომიტეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის და მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მტკიცე მშვიდობის დამყარებას, არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ გადაუწყვეტელ გამალებულ შეიარაღებას და უნდა თქვას თავისი საფუძვლიანი სიტყვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას, განაგრძო კუზნეცოვმა, წინადადება მიეცა წარმოედგინა მოხსენება უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეისათვის. 25 ნოემბერს წარმოდგენილი მოხსენება გვიჩვენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ და მისმა ქვეკომიტეტმა, სამწუხაროდ, ვერ მიაღწიეს პროგრესს განიარაღების ყოვლისმომცველი კონვენციის მომზადებაში და ვერ შეასრულეს, ამრიგად, ამოცანები, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ დაუსახა მათ.

ისმება კანონიერი კითხვა, რატომ ვერ შეასრულეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ და მისმა ქვეკომიტეტმა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება, როცა მან დიდი ხანია საჭიროდ მიიჩნია შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა. პასუხი ამ კითხვაზე უნდა ვეძიოთ ქვეკომიტეტის წევრ სახელმწიფოთა პოზიციებში.

ჩამოაყალიბა რა საბჭოთა კავშირის პოზიცია განიარაღების საკითხში, კუზნეცოვმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა 10 მაისის საბჭოთა წინადადებას, რომელიც წარდგენილია გენერალური ასამბლეის განსახილველად.

ამ წინადადების თავისებურება, თქვა მან, ის არის, რომ განიარაღების საკითხს იგი განიხილავს არა იზოლირებულად, არა სხვა საერთაშორისო პრობლემებთან დაუკავშირებლად, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი შეიცავს იმ ღონისძიებათა კონკრეტულ პროგრამას, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის დამყარება და, ამრიგად, შეწყვეტა „ცივი ომისა“, რომელიც სწამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს და ქმნის ახალი ომის გაჩაღების საფრთხეს.

საბჭოთა კავშირმა, განაგრძო კუზნეცოვმა, მიიღო დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც მათ შემოიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში, და ამით შექმნა მტკიცე ბაზა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების შემდგომი დაახლოებისათვის განიარაღების საკითხში.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადება ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა, სანამ ძალაში შევიდოდეს ატომგულის იარაღის სრული აკრძალვა, იკისრონ ვალდებულება, რომ არ გამოიყენებენ ამ იარაღს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით თავი უნდა დაიცვან აგრესიის წინააღმდეგ. საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას როგორც ერთ-ერთ პირველი რიგის ღონისძიებას განიარაღების პროგრამის განხორციელებაში.

რათა სახელმწიფოებმა მიაღწიონ შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და ხალხებმა თავიდან აიცილონ ატომური ომის საშინელებანი, საბჭოთა კავშირმა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე 21 ივლისს შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ოთხმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა იკისრონ ვალდებულება, რომ პირველნი არ გამოიყენებენ ატომურ და წყალბადის იარაღს, და მოუწოდონ ყველა სხვა სახელმწიფოს შეუერთდნენ შესაბამის დეკლარაციას.

10 მაისის საბჭოთა წინადადებებში, განაცხადა შემდეგ კუზნეცოვმა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის სისტემის შექმნას.

ამრიგად, განაცხადა კუზნეცოვმა, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი მოიცავენ განიარაღების ყველა მხარეს: შეიარაღებული ძალების შემცირებას, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, ატომური იარაღის აკრძალვასა და შემცირებისა და აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. ეს წინადადებანი სავსებით შეესაბამებიან გენერალური ასამბლეის დირექტივებს, რომლებიც მოცემულია 1954 წლის 4 ნოემბრის რეზოლუციაში განიარაღების ყოვლისმომცველი პროგრამის მომზადების შესახებ.

აღნიშნა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრებმა აღიარეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების პოზიციები განიარაღების საკითხში დაახლოვდა, საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა: მაშასადამე, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა განაახლა თავისი მუშაობა ნიუ-იორკში, იყო საფუძველი შეთანხმებისათვის განიარაღების პრობლემის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

ანალიზი გაუკეთა რა მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევას განიარაღების საკითხში, საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი მიზეზი იყო ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს პოზიციებზე, რომლებიც მათ წინათ ეკავათ.

ამ პერიოდში, სახელდობრ 10 მაისს, თქვა კუზნეცოვმა, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა ახალი წინადადებები, რომლებიც მოწმობდნენ პოზიციების მნიშვნელოვან დაახლოებას განიარაღების უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ამით შეიქმნა შესაძლებლობა, რომ მიღწეულიყო რეალური შეთანხმება ყველა ამ საკითხზე. მოკლედ რომ ვთქვათ, დაისახა შეთანხმების შესაძლებლობა, რომლითაც დასაწყისი მიეცემოდა ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის. ამით ხომ არ აიხსნება ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა შეცვალეს პოზიციები განიარაღების მთელ პროგრამაში? ასეთი კითხვა სავსებით კანონიერია, იმიტომ რომ როგორც კი დაისახა განიარაღების მთელ რიგ არსებითს საკითხებზე ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობამ შეიტანა 10 მაისის წინადადებანი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა იწყეს უკანდახევა პოზიციებიდან, რომლებიც მათ წინათ ეკავათ.

ქვეკომიტეტის მუშაობის დროს ნიუ-იორკში ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის სტასენის 6 სექტემბრის განცხადებიდან ჩანს, შეერთებული შტატები დაშორდნენ იმ პოზიციებს, რომლებიც მათ ეკავათ ჯერ კიდევ ამა წლის გაზაფხულზე.

თუ ქვეკომიტეტის მუშაობის მსვლელობაში სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს უარი არ უთქვამთ თავიანთ წინანდელ წინადადებებზე, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე ოქტომბერ-ნოემბერში გამოირკვა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიბაძეს შეერთებული შტატების მთავრობას და აგრეთვე დაადგნენ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში მათ მიერ წინათ დაკავებული პოზიციების გადასინჯვის გზას.

თავიანთ უარს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებაზე, განაგრძო კუზნეცოვმა, დასავლეთის სახელმწიფოები იმით ასაბუთებენ, რომ ამჟამად თითქოს არ არსებობს ამისათვის საჭირო ნდობა სახელმწიფოთა შორის, აგრეთვე იმოწმებენ ატომური იარაღის აკრძალვისადმი ეფექტიანი კონტროლის ორგანიზაციის „ტექნიკურ სიძნელეებს“.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ამჟამად სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ის სრული ნდობა, რომელიც სასურველია იყოს. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ და ველოდოთ, როდის გამოჩნდება ასეთი ნდობა. ნდობა სახელმწიფოთა შორის თავისთავად როდი იქმნება, იგი განმტკიცდება მხოლოდ გარკვეულ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ერთმანეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობით. ის, ვისაც განიარაღება არა სურს, ყოველთვის შეძლებს თავისი უარი შენიღბოს იმის დამოწმებით, რომ არ არსებობს სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობა და ამით ჩაშალოს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ყოველგვარი ღონისძიება.

საბჭოთა კავშირი საქმით ამტკიცებს, რომ შეიძლება შევუდგეთ შეიარაღების შემცირებას უკვე ამჟამად. საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1955 წლის 15 დეკემბრისათვის თავისი შეიარაღებული ძალების რაოდენობა შეამციროს 640 ათასი კაცით, მოახდინა პორტ-არტურსა და პორკალა-უდში საბჭოთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია.

კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ მტკიცება, თითქოს ფიზიკის მეცნიერების მდგომარეობა შესაძლებლობას არ იძლევა ეფექტიანი გავხადოთ კონტროლი ატომგულის იარაღისადმი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში, თქვა მან, დასავლეთის სახელმწიფოებს შესაძლებლად მიაჩნდათ როგორც ატომური იარაღის სრული აკრძალვა, ისე ამ აკრძალვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესება. ხოლო უფრო გვიან ამავე სახელმწიფოებმა დაიწყეს ლაპარაკი ატომური იარაღის აკრძალვისა და სათანადო კონტროლის უკვე შეუძლებლობასა და განუხორციელებლობაზე, ამასთან იმოწმებდნენ თითქოს „ახალ მეცნიერულ აღმოჩენებს“...

რა თქმა უნდა, ამ პერიოდში არ მომხდარა არავითარი ისეთი აღმოჩენა ატომგულის ფიზიკის დარგში, რომელსაც შეეძლოს ძირეული გადატრიალება მოახდინოს ატომგულის იარაღის აკრძალვისადმი კონტროლის დაწესების შესაძლებლობის შესახებ ჩვენს წარმოდგენაში.

მიზეზი აქ კი არ უნდა ვეძიოთ. მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხოლო მათ შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა მოიგონეს ახალი მოსაზრებანი ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ, როცა საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადებანი, რომლებიც მოწმობენ ამ საკითხში პოზიციების მნიშვნელოვან დაახლოებას და ამით შესაძლებელს ხდიან რეალური შეთანხმების მიღწევას, როგორც შეიარაღების შემცირებაზე, ისე ატომური იარაღის აკრძალვაზეც.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ატომური იარაღის აკრძალვისადმი კონტროლის დაწესება გარკვეულ ტექნიკურ სიძნელეებს წარმოადგენს. მაგრამ ეს სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ უარი უნდა ვთქვათ ატომური იარაღის აკრძალვაზე, უარი ვთქვათ ატომური ომის საფრთხის შესუსტებისადმი მისწრაფებაზე და ამრიგად მთელი საქმე თვითდინებას მივანდოთ. საერთაშორისო კონტროლის ტექნიკური მეთოდების დაუცხრომელ გაუმჯობესებასთან ერთად ჩვენ უნდა მივიღოთ ღონისძიებანი, რათა შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება და საქმე წარვმართოთ ატომური იარაღის როგორც გამოყენების, ისე წარმოების სრული აკრძალვისაკენ. პირველ ღონისძიებად საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ვალდებულება იკისრონ — პირველებმა არ იხმარონ ეს იარაღი რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვსურს ყურადღება მივაქციოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის 26 ნოემბრის შემდეგ განცხადებას:

„ჩვენ ვეუბნებით დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებს: თუ თქვენ გეშინიათ განიარაღდეთ, მოსპოთ თქვენი ბომბების მარაგი, მოდით მივცეთ ერთმანეთს პატიოსანი ჯენტლმენური სიტყვა, რომ არც ერთი ჩვენგანი არასოდეს არ იხმარს ატომურ იარაღს. ისინი გვიპასუხებენ, რომ არ შეუძლიათ ასეთი სიტყვის მოცემა, რადგან წყალბადისა და ატომური ბომბები მათ თითქოს სჭირდებათ „წონასწორობისათვის“. ხოლო რას ნიშნავს ასეთი „წონასწორობა“? ეს არის გამალებული შეიარაღება“.

აღნიშნა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ ვიმუშაოთ კონტროლისა და ინსპექციის დაწესებაზე, ისე, რომ არავითარი ღონისძიება არ მივიღოთ შეიარაღების შემცირებისათვის, საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომა განიარაღების საკითხის გადაჭრისადმი დადებითს შედეგებს ვერ გამოიღებს და წინ ვერ წასწევს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეს.

შეეხო რა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას ტერიტორიების აეროფოტოგადაღებისა და სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ეს წინადადება მისი ახლანდელი სახით ყურადღების გარეშე ტოვებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებს, იგი არ ითვალისწინებს არც შეიარაღების შემცირებას, არც ატომური იარაღის აკრძალვას.

კუზნეცოვმა მოაგონა სხდომას ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის კეთილმოსურნეობით მოეკიდოს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასახული ღონისძიებანი განხილულ იქნება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანის გადაჭრასთან განუყრელი კავშირით, როგორც კონტროლის ერთ-ერთი ფორმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 10 წლის მანძილზე განიხილავენ განიარაღების პრობლემას. ხალხები გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას ამ დარგში და მოელიან რეალურ შედეგებს, რომლებიც იხსნიდნენ კაცობრიობას ახალი ომის საფრთხისაგან და უზრუნველყოფდნენ ადამიანთა მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრების პირობებს მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირი ესწრაფვოდა და ესწრაფვის იმას, რომ მიღწეულ იქნას პროგრესი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტაში.

საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განსამტკიცებლად და ახალი ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ გაგრძელდეს ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე დაიდოს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, უნდა აღინიშნოს საერთო თანხმობა იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა შესახებ დაინტერესებულ მხარეთა თვალსაზრისი ან უკვე ემთხვევა ერთმანეთს, ან მნიშვნელოვნად დაახლოვდა. „ამ საკითხებზე შეთანხმება, — როგორც ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ეიზენჰაუერისადმი, — გზას გაუხსნიდა სხვა საკითხების მოწესრიგებას, რომლებიც განიარაღების პრობლემას შეეხებიან. იგი ხელს შეუწყობდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების იმ ატმოსფეროს განმტკიცებას, რომელსაც დასაბამი მიეცით ჟენევაში, და შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს განიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის უფრო ფართო პროგრამის განხორციელებისათვის“.

გენერალური ასამბლეის X სესიაზე განიარაღების საკითხის განხილვა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ საკითხის რაც შეიძლება მალე გადაჭრას, სავსებით შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, სახელდობრ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის ინტერესებს.

ვ. ვ. კუზნეცოვის განცხადების შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ლოჯი. იგი თავის შენიშვნებში ცდილობდა სადავოდ გაეხადა საბჭოთა წარმომადგენლის სამართლიანი განცხადება, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის წინადადების მიმართ ქვეკომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების პოზიციის შეცვლამ ხელი შეუშალა შეთანხმების მიღწევას შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამასთან ლოჯმა უხეშად დაამახინჯა საბჭოთა პოზიცია, განაცხადა რა, რომ სსრ კავშირი თითქოს მოითხოვდეს „ატომური იარაღის მარაგის მოსპობას, როგორც დაუყოვნებლივ მიზანს“. მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ ეს ღონისძიება განხორციელდეს განიარაღების საერთო პროგრამის უკანასკნელ სტადიაზე მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალები შემცირდება 75 პროცენტით. ისწრაფვოდა რა, როგორც ჩანს, მკვახე ტონი მიეცა საერთო დისკუსიისათვის კომიტეტში განიარაღების საკითხის განხილვისას, ლოჯმა თავის გამოსვლაში გამოიყენა ცივი ომის პერიოდის ამერიკული პროპაგანდის ტერმინოლოგია. ის იქამდეც კი მივიდა, რომ საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ „საშიში“ და „ფარისევლური“ უწოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის ბაზებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე თითქოს „თავდაცვითი“ ხასიათი ჰქონდეთ, „არ იყვნენ უცხოელთა ბაზები“ და რომ საერთოდ „ბაზები არ იცვლიან თავის ბუნებრივ ხასიათს იმის გამო, საზღვრების ფარგლებში არიან ისინი თუ საზღვრების ფარგლებს გარეთ“.

ლოჯს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, რომ საჭიროა შემცირდეს შეიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღი, და მოჰყვა მსჯელობას იმაზე, რომ გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭიროს „პრაქტიკულად განსახორციელებელ“ ღონისძიებებს, ამასთან დამსწრეთ აშკარად აგრძნობინა, რომ ასეთ „ღონისძიებებად“ ამერიკის დელეგაციას მიაჩნია, როგორც ლოჯმა განმარტა, „ეიზენჰაუერის გეგმა ღია ცის შესახებ“, ე. ი. აეროფოტოგადაღებათა შესახებ, მაგრამ ისე, რომ არ განხორციელდეს რაიმე ღონისძიება შეიარაღების შესამცირებლად და ატომური იარაღის ასაკრძალავად.

ლოჯის გამოსვლასთან დაკავშირებით მეორედ აიღო სიტყვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. მან განაცხადა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 1954 წლამდე მოითხოვდა განიარაღების გარკვეულ პროგრამას, რომელიც შეიცავდა წინადადებებს, რომ შეიარაღება და შეიარაღებული ძალები შემცირებინათ განსაზღვრულ დონემდე, და თუ ახლა ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფენ ამ პროგრამას და აცხადებენ, რომ ისინი ახლა „არეზერვებენ თავიანთ პოზიციას“ ამ წინადადების შესახებ და განიარაღების მთელ საქმეს მხოლოდ „სახელმწიფოთა ტერიტორიების ფოტოგადაღებით ამოწურავენ“, კომიტეტის წევრებისათვის მიმინდვია განსაჯონ, თუ ვის უნდა დაედოს ბრალად ფარისევლობა.

შეეხო რა ლოჯის მტკიცებას, რომ ამერიკის ბაზები სხვის ტერიტორიებზე თითქოს მშვიდობიანი მიზნით იქმნებოდეს, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ყველასათვის აშკარაა მიზნები ამ სამხედრო ბაზებისა, რომლებსაც აშენებენ და ინახავენ საკუთარი საზღვრებიდან ათასობით კილომეტრზე და იქ აქვთ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ქვემეხები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ბაზების შექმნა სრულიადაც არ უწყობს ხელს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას სახელმწიფოთა შორის და მათი ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

## საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

უკანასკნელ ხანს მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება იმ საქონლის სიების დასადგენად, რომელიც ერთმანეთს უნდა მიაწოდონ 1956 წელს. ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 2 დეკემბერს ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთმიწოდების შესახებ 1956 წელს. ამ ოქმის შესაბამისად ორი ქვეყნის საქონელბრუნვა მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს.

ფინეთი საბჭოთა კავშირს მიაწვდის გემებს, მცურავ ამწეებს, ენერგოძალოვან, სამწეო-სატრანსპორტო და სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მოწყობილობას, სპილენძის სადენს, კაბელის ნაწარმს, დახერხილ მასალას, ბალანსებს, ცელულოზას, ქაღალდს, მუყაოს, შტაპელის ბოჭკოსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა კავშირი ფინური საქონლის საკომპენსაციოდ ფინეთს მიაწვდის ნავთობპროდუქტებს, ქვანახშირს, შავი ლითონის ნაგლინს, სასუქებს, მარცვლეულს, ბამბას, ავტომობილებს, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე თამბაქოს, აზბესტს, ქიმიურ და სხვა საქონელს.

ოქმს 1956 წელს სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთმიწოდების შესახებ ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა და ფინეთის მხრივ — ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო-პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ლ. ტუომინენმა.

## დამთავრდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

### საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დამთავრებას. სხდომას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი, სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დიკმანი, პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, უცხოეთის დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დამთავრებისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა. მან აღნიშნა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მოწყობა 1955 წელს იყო ახალი წვლილი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ეს მეგობრობა, თქვა ლ. ბოლცმა, გერმანელი ხალხის მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის საწინდარია.

ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შესაქმნელად, გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ლ. ბოლცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის წინადადებებს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. ამ წინადადებებს მხარს უჭერენ ევროპის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უფართოესი ფენები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

## ვ. ულბრიხტი დაინიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ

ბერლინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დაინიშნოს ვალტერ ულბრიხტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ. ლაიშნერი დანიშნულია პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

## უნგრეთიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ბუდაპეშტი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტიდან მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელიც უნგრეთში იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მოწვევით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გააცილეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა, სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შანდორ რონაიმ, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა იშტვან კოვაჩმა და ბელა ვეგმა, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მოადგილეებმა იოჟეფ ნადიშტოკმა და იშტვანე ვაშმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანმა ი. დარაბოშმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ ბოლდოცკიმ, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კალმან პონგრაცმა, უნგრეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გააცილეს საბჭოთა საელჩოს შემადგენლობამ ელჩის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ნ. მ. პეგოვმა გამცილებლებს მიმართა სიტყვით, რომელშიც თქვა:

ჩვენ თან მიგვყვება სიხარულის, აღტაცების გრძნობები, რომლებიც ჩვენში გამოიწვია გულთბილმა შეხვედრებმა და გულითადმა საუბრებმა ძვირფას, სამახსოვრო დღეებში, რაც მეგობრებს შორის გავატარეთ სტუმართმოყვარე უნგრელთა ქვეყანაში.

გულით თქვენთან ვრჩებით, ძვირფასო მეგობრებო. საბჭოთა და უნგრელი ხალხების დიადი, ურღვევი მეგობრობა მარად იცოცხლებს, დღითიდღე გაფართოვდება და განმტკიცდება. იგი, როგორც კაშკაშა, ჩაუქრობელი ჩირაღდანი, გააშუქებს ჩვენს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ჩვენი ქვეყნებისა და ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

სულით და გულით გისურვებთ, რომ ამ მეგობრობის სინათლით გაშუქებული კიდევ უფრო აყვავდეს თქვენი შესანიშნავი სამშობლო, რათა კიდევ უფრო ლამაზი და ბედნიერი გახდეს უნგრელ მეგობართა ცხოვრება. გულწრფელად გისურვებთ უდიდეს წარმატებებს იმ კეთილშობილურ, დიდებულ გზაზე, რომელიც თქვენ აირჩიეთ, — თქვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ივლით რა ამ გზით, თქვენ მუდამ მიიღებთ საბჭოთა ხალხის — თქვენი ერთგული, საიმედო მეგობრის მხურვალე მხარდაჭერასა და ძმურ დახმარებას.

ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ სულით და გულით მადლობას ვუძღვნით უნგრელ ხალხს იმ გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც იგი მუდამ და ყველგან უწევდა ჩვენს დელეგაციას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შანდორ რონაიმ, რომელმაც განაცხადა:

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ძვირფასო ამხანაგებო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმოგზავნილნო, ჩვენთან თქვენი ყოფნის ვადა მოკლე იყო, და თქვენ არ შეგეძლოთ განგეხათ ჩვენში ყოველივე ის, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა, ააშენა მისი განთავისუფლების დღიდან. მაგრამ იმან, რაც ნახეთ, იმან, რაც შეიტყვეთ ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სოფლის მეურნეობის, ჩვენი კულტურისა და ჩვენი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების შესახებ, ალბათ, დაგარწმუნათ, რომ ჩვენმა ხალხმა შეძლო სწორად გამოეყენებინა თავისუფლება. თქვენ დარწმუნდით, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი, ჩვენი მშრომელი გლეხობა და ჩვენი ხალხისადმი ერთგული ინტელიგენცია ჩვენი დიადი პარტიის — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგული უნგრეთის მშრომელთა პარტიის — ხელმძღვანელობით დაუცხრომლად შრომობენ სოციალიზმის აშენებისათვის და მტკიცედ დგანან მშვიდობის საგუშაგოზე.

ჩვენს სამრეწველო საწარმოებში, ჩვენს სახელმწიფო მეურნეობებში, საწარმოო კოოპერატივებში, ქალაქებსა და სოფლებში, განაგრძო შანდორ რონაიმ, ყველგან, სადაც კი იყო დელეგაცია, ჩვენი ხალხი გულთბილად და სტუმართმოყვრულად გხვდებოდა თქვენ, გამოხატავდა რა თავის სიყვარულსა და მადლობას. ჩვენ მტკიცე რწმენის გრძნობით გიცხადებთ, რომ თქვენმა ყოფნამ ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

ახლა საბჭოთა კავშირში თქვენი გამგზავრების წინ ჩვენ გთხოვთ უთხრათ საბჭოთა ხალხს, რომ უნგრელი ხალხი დიდი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით ფიქრობს მასზე, და დიდ პატივად მიაჩნია, რომ არის მშვიდობის იმ დიდი ბანაკის წევრი, რომლის სათავეში დგას საბჭოთა კავშირი. გთხოვთ, თქვა დასასრულ შანდორ რონაიმ, გადასცეთ მოძმე საბჭოთა ხალხსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უნგრელი ხალხისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მხურვალე მეგობრული სალამი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

## უნგრეთიდან დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

2 დეკემბერს უნგრეთიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ნ. მ. პეგოვის მეთაურობით.

დელეგაცია უნგრეთში იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მოწვევით. (საკდესი).

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის ცნობის შესახებ

პრაღა, 2 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობად ინფორმაცია, რომ ავსტრიის პარლამენტმა 1955 წლის 26 ოქტომბერს დაამტკიცა ფედერალური კონსტიტუციური კანონი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ, აგრეთვე ავსტრიის მთავრობის თხოვნა იმის შესახებ, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ცნოს ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება ავსტრიის პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომელიც კონსტიტუციური გზით განამტკიცებს ავსტრიის ნებაყოფლობითს გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს მუდმივი ნეიტრალიტეტი თავისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ავსტრიის გადაწყვეტილება — არ შევიდეს რაიმე სამხედრო კავშირში და არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა დასაყრდენი პუნქტების შექმნა — უზრუნველყოფს წანამძღვრებს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ავსტრიის სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისათვის და ბაზას ჩეხოსლოვაკიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელსაყრელი განვითარებისათვის, აგრეთვე დიდი წვლილია ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ცნობს ავსტრიის მუდმივ ნეიტრალიტეტს.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

ახალი

საილუზიო ატრაქციონი

ხელმძღვანელი

ანატოლი შაგ

და

აზერბაიჯანის საცირკო კოლექტივი

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

4 და 5 დეკემბერს

დღის ორ-ორი საბავშვო სადღესასწაულო წარმოდგენა.

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.



დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

(კეცხოველის ქ. № 10)

1955 წლის 14 დეკემბერს დღის 12 საათზე მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ლეონიდე ალექსის-ძე შერვაშიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре (миниатюры батальной тематики Джручской псалтыри)“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.



დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ტარიელ გოლუა (დილა-საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — უცნობი ქალი (დილა-საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ბრალდება (დილას), ვერაგობა და სიყვარული (საღამოს), მუსიკალური კომედიის — ჭრიჭინა (დილას), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — გიქორი (აბონემენტი № 25, 12 ს.), პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 10, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ხალისიანი მეგობრები (10 ს.), კრაზანა (5 ს.), თოჯინების ქართული — ნატვრისთვალი (12 ს.), ბაირი (4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის, კოლხიდა — ჟულიეტა, ამირანი, სპარტაკი, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — ქალის სიყვარული, თბილისი, კომკავშირელი — გაზაფხულის ხმები, დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი — მეთორმეტე ღამე, კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი — ცისკარა.


შვილები ნინო, ანდრო, დები მანია, ალექსანდრა, ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან **თამარ პიმენის ასულ გაბაშვილი-გიზის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 3 ს. ბინიდან, პლეხანოვის პროსპ. № 120.

მეუღლე ელენე, შვილები სოლომონ, ნინო, შალვა, ციური, მზიური, დები სალომე, ოლღა, თამარ ოჯახებით იუწყებიან **პეტრე სოლომონის-ძე სოხაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XII, 3 ს. სოფელ ბიწმენდში (მცხეთის რაიონი).

შვილები თამარ, მარო, ვარია, ზაქარია ოჯახებით იუწყებიან **ელისაბედ ზაქარიას ასულ ბოგვერაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4 ს. ბინიდან, ჩოდრიშვილის ქ. № 7.

შვილები მოსე, თამარ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **ალათი ომანის ასულ სიყმაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 3 ს. ბრძოლის ქ. № 41.

დედა სერინო, მეუღლე შუშანა, შვილები ლამარა, გივი, ზურაბ, ნანა, ძმა ლევან, დები ევა, მარო ოჯახებით იუწყებიან **შაქრო ივანეს-ძე რუსიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-XII სოფელ ორმეთში (ლანჩხუთის რაიონი).

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **რომან ვახტანგის-ძე ჯაშის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-XII, 4 ს. მამაცაშვილის ქ. № 16.

შვილი კარმენ, ძმები ანტონ, გრიგოლ, კლიმენტი, ვანო, დები ოლღა, ვერა ოჯახებით იუწყებიან **ნინო გედევანის ასულ გედევანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XII, 8 ს. გამოსვენება 6-XII, 4 ს. არსენას ქ. № 30.

შვილები მოსე, ანიჩკა, გაშო, ლუბა, თამარ, ლეონიდე, და ნატაშა ოჯახებით იუწყებიან **ნინო ბებურის ასულ შაფაქიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XII. შემოქმედში (მახარაძის რაიონი).

საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და თანამშრომლები იუწყებიან **სიმონ გრიგოლის-ძე ელიოზოვის** გარდაცვალებას.

მამა ვალერიან, დედა ნატო, ძმები ელგუჯა, ბორის, დები ლალო, ეკატერინე იუწყებიან **ლუდა ვალერიანის ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XII ბოლნისში. გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 69.

უე 06850 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.